

## საქართველოს ელექტრონული მეცნიერებების სისტემის ოპტიმალური

### სტრუქტურის განსაზღვრა

ლელა გაჩეჩილაძე, ნანა კურგუმული, სოფიო ბარნოვი, ლია ნონიკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

#### რეზიუმე

ნაშრომში დასმული და გადაწყვეტილია საქართველოს ელექტრონულგეტიკული სისტემის მათემატიკური მოდელის შემუშავებისა და მისი ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრის ამოცანა. ელექტრონულგეტიკული სისტემის ოპტიმალურ სტრუქტურაში იგულისხმება სხვადასხვა ტიპისა და სიმძლავრის ელექტრონისადგურების ერთობლივია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულგეტიკული ქვეყნის დაკავშირის ერთობლივია, რისთვისაც აუცილებელია, რომ საქართველოს ელექტრონულგეტიკული სისტემის მიერ ყოველწლიურად გამომუშავებული ელექტრონულგია ერთ სულ.

მოსახლეობის იყოს საშუალო ევროპული დონის (დაახლოებით 7÷8 ათასი კოლოგატსაათი წელიწადში), ხოლო საერთო წლიური გამომუშავება – 45 მილიარდი კილოგატსაათი.

**საკანონი სიტყვები:** გრადიენტული მეთოდი. სიმძიმის ცენტრების მეთოდი. იტერაციული ალგორითმი. ელექტრონულგია. ბაზისური სიმძლავრე. პიკური ენერგია. პიკური სიმძლავრე.

#### 1. შესავალი

ცნობილია, რომ ელექტრონულგიას წარმოება საქართველოში 1887 წ. დაიწყო. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თბილისში ელექტროგანათების გამოყენების პირველი ინიციატორი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე გახლდათ. საქართველოს პიდროენერგეტიკული პატენტირიალი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ფართობის გათვალისწინებით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, საქართველოს ელექტრონულგეტიკული სისტემა უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში მკვეთრად დაფიციტური იყო, რაც განპირობებული გახლდათ არასწორი ენერგეტიკული პოლიტიკით, რომელიც წლების განმავლობაში ხირციელდებოდა საქართველოში. ასეთი პოლიტიკის შედეგად საქართველოს ელექტრონულგეტიკა დიდწილად დაფუძნებული იყო იმპორტულ ორგანულ სათბობებზე, ხოლო საქართველოს პიდროენერგორესურსების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ათვისებული.

უკანასკნელ წლებში გარკვეულწლილად გაუმჯობესდა ქვეყნის ელექტრონულგიათ მომარაგება, თუმცა, უმძიმესი კრიზისი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დაიწყო, არ შეიძლება ჩაითვალოს დაძლეულად ორგანულ სათბობებზე ფასების ზრდის არნაზული ტემპების პირობებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძნეს პიდროენერგორესურსების ათვისება. საქართველო, კი ცნობილია მდიდარი პიდროენერგეტიკული რესურსებით.

ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ საკითხებსაც, რომლის გარეშეც პარაგენტულად შეუძლებელია ამა თუ იმ ენერგორესურსის კონკურენტუნარიანობის დადგენა. ამასთან დაკავშირებით, დღეისათვის აქტუალურია საქართველოს ელექტრონულგეტიკული სისტემის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა, რაც აღნიშნული სისტემის ყოველწლიური ანალიზის, მათემატიკური მოდელირებისა და ოპტიმიზაციის რიცხვითი მეთოდების საშუალებით შეიძლება განხორციელდეს.

#### 2. ძრითადი ნაწილი

ნაშრომის მიზანია განისაზღვროს, თუ რა ტიპის და რა სიმძლავრის ელექტრონისადგურები უნდა აშენდეს საქართველოში, რომ კაპიტალური დაბანდებისა და საექსპლუატაციო ხარჯების ჯამი იყოს მინიმალური და ენერგიის საერთო წლიური გამომუშავება შეადგენდეს 45 მლრდ. კვტ.სთ-ს.აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად მივმართავთ ოპტიმიზაციის წრფივი დაპროგრამების დიდი განზომილების ამოცანას, რომლის სარგალიზაციოდ შემოთავაზებულია ორი იტერაციული

ალგორითმის გამოყენება. პირველი ალგორითმი შემუშავებულია სიმძიმის ცენტრების მეთოდის ბაზაზე, ხოლო მეორე – მუდმივივიკიანი გრადიენტული მეთოდის ბაზაზე.

განვიხილოთ წრფივი დაპროგრამების სტანდარტული ამოცანა: [1,4].

$$\min \left\{ f(x) = \sum_{j=1}^n c_j x_j \mid g_i(x) = \sum_{j=1}^n a_{ij} - b_i \leq 0, i = 1, 2, \dots, m; x_j \geq 0, j = 1, 2, \dots, n \right\}. \quad (1)$$

როგორც ცნობილია, წრფივი დაპროგრამების ამოცანებში სიმძიმის ცენტრების მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი  $x$  ცვლადების შემთხვევითი წესით გამომუშავება დასაშვებ ამონასნთა სიმრავლეში განხორციელდება. მაგრამ ცვლადების დასაშვები მნიშვნელობების ასეთი წესით განსაზღვრა დიდი რაოდენობით სტატისტიკური ცდების ჩატარებას ითვალისწინებს, რაც კომპიუტერული დროის მნიშვნელოვან დანაკარგებს უკავშირდება. მეთოდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შევიმუშავეთ დასაშვებ ამონასნთა განსაზღვრის დამსმარე ალგორითმი, რომლის იდეა შემდეგში მდგომარეობს.  $R^n$  სივრცის ნებისმიერი  $x^{(0)}$  წერტილიდან, რომელიც  $i$ -ურ უტოლობას არ აქმაყოფილებს, განხორციელდება ორთოგონალური დაშვება ამ უტოლობის შესაბამის პიპერსიბრტყებზე შემდეგი რეკურენტული ფორმულის საშუალებით:

$$x_j^{(i+1)} = x_j^{(i)} - \beta_i \frac{\sum_{j=1}^n a_{ij} x_j^{(i)} - b_i}{\sum_{j=1}^n a_{ij}^2}, \quad j = 1, 2, \dots, n, \quad (2)$$

სადაც

$$\beta_i = \begin{cases} 0, & \text{თუ } \sum_{j=1}^n a_{ij} x_j^{(i)} \leq b_i, \\ 1, & \text{თუ } \sum_{j=1}^n a_{ij} x_j^{(i)} > b_i. \end{cases} \quad (3)$$

იმ შემთხვევაში, როცა  $x^{(0)}$  წერტილი ერთდროულად არ დააკმაყოფილებს შეზღუდვათა სისტემის რამდენიმე უტოლობას, მაშინ დასაშვები წერტილის მისაღებად ორთოგონალური დაშვება თანმიმდევრულად ხორციელდება თითოეული დაუკმაყოფილებელი უტოლობის მიმართ.

დასაშვები ამონასნების განსაზღვრის განხილული დამხმარე ალგორითმისა და სიმძიმის ცენტრების მეთოდის ბაზაზე შემუშავებული პირველი იტერაციული ალგორითმი საშუალებას გვაძლევს ოპტიმიზაციის წრფივი ამოცანები საინჟინრო პრაქტიკაში მისაღები სიზუსტით მარტივად და სწრაფად გადავწყვიტოთ [2].

წრფივი დაპროგრამების დიდი განხომილების ამოცანების გადასაწყვეტად შემუშავებულია, აგრეთვე, მეორე იტერაციული ალგორითმი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს. დასაშვები არის საწყისი  $x^{(0)} = (x_1^{(0)}, x_2^{(0)}, \dots, x_n^{(0)})$  წერტილიდან განხორციელდება გადაადგილება მიზნის  $f(x)$

ფუნქციის გრადიენტის ვექტორის მიმართულებით შემდეგი რეკურენტული ფორმულის საფუძველზე:

$$x^{(k+1)} = x^{(k)} + \lambda \frac{\nabla f(x^{(k)})}{\sqrt{\nabla f(x^{(k)})^T \nabla f(x^{(k)})}}, \quad (4)$$

სადაც  $\lambda > 0$  რაღაც დადებითი სიდიდეა, ხოლო  $k = 0, 1, 2, \dots$  იტერაციების რიცხვია. თუ გავითვალისწინებთ, რომ წრფივი ფუნქციის კერძო წარმოებულები მიზნის ფუნქციის შესაბამის

$$\text{ცვლადებთან } \text{მდგომი } \text{კოეფიციენტების } \text{ტოლია, } \text{ანუ } \frac{df}{dx_1} = c_1, \frac{df}{dx_2} = c_2, \dots, \frac{df}{dx_n} = c_n \text{ მაშინ} \quad (4)$$

გამოსახულება შეიძლება გავამარტივოთ და შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$x_j^{(k+1)} = x_j^{(k)} + \lambda \frac{c_j}{\sqrt{\sum_{j=1}^n c_j^2}}, \quad j=1,2,\dots,n. \quad (5)$$

ალგორითმის მიხედვით, გადაადგილების ყოველ ბიჯზე მიღებული წერტილი შემოწმდება შეზღუდვებზე [3].

სწორედ, ზემოთ წარმოდგენილი ალგორითმის საფუძველზე გადაწყვეტილ იქნა ნაშრობში დასმული ამოცანა, რომლის მიზნის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$L = \sum_{i=1}^n (Ea_i + C_i)P_i \rightarrow \min \quad (6)$$

სადაც,  $P_i$  არის  $i$ -ური ტიპის სადგურების ჯამური სიმძლავრე,  $a_i$  კი  $i$ -ური ტიპის სადგურის ერთეული სიმძლავრის ასაშენებლად საჭირო კაპიტალური დაბანდებები, დოლ/გვტ;  $C_i$  -  $i$ -ური ტიპის სადგურის ერთეულ სიმძლავრეზე გაწეული წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები, დოლ/გვტ.წ; ხოლო  $E$  - ნორმატიული კოეფიციენტი და იგი ნორმატიული ვადის შებრუნებული სიდიდეა  $T = \frac{1}{E} \cdot \text{ელექტროენერგეტიკაში } E = 0.12.$

ამოცანის შეზღუდვები კი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. ენერგოსისტემაში შესაყვანი ახალი პიკური ელექტროსადგურების და არსებულის ჯამური სიმძლავრე მეტი უნდა იყოს მოთხოვნილ პიკურ სიმძლავრეზე:

$$P_4 + \bar{P}_4 \geq P_{0p}, \quad \text{ანუ } P_4 \geq P_{0p} - \bar{P}_4 \quad (7)$$

სადაც  $P_{0p}$  არის მოთხოვნილი პიკური სიმძლავრე, ხოლო  $\bar{P}_4$  - არსებული პიკური სადგურების ჯამური სიმძლავრე.

2. ენერგოსისტემაში შესაყვანი ახალი პიკური ელექტროსადგურების და არსებული პიკური სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია მეტი უნდა იყოს მოთხოვნილ პიკურ ენერგიაზე:

$$t_4 P_4 \geq W_{0p} - \bar{W}_p \quad (8)$$

სადაც  $W_{0p}$  არის მოთხოვნილი პიკური ენერგია, ხოლო  $\bar{W}_p$  - არსებული პიკური სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია.

3. ენერგოსისტემაში შესაყვანი ახალი ბაზისური ელექტროსადგურებისა და არსებული ბაზისური ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე უნდა აჭარბებდეს მოთხოვნილებას ბაზისურ სიმძლავრეზე:

$$\sum_{\substack{i=4 \\ i \neq 4}}^n P_i \geq P_{0b} - \bar{P}_b, \quad n=13 \quad (9)$$

სადაც  $P_{0b}$  არის მოთხოვნილი ბაზისური სიმძლავრე, ხოლო  $\bar{P}_b$  - არსებული ბაზისური სადგურების ჯამური სიმძლავრე.

4. ასაშენებელი ბაზისური სადგურების და არსებული ბაზისური სადგურების მიერ გამომუშავებული ჯამური ენერგია მეტი უნდა იყოს მოთხოვნილ ბაზისურ ენერგიაზე:

$$\sum_{\substack{i=4 \\ i \neq 4}}^n t_i P_i \geq W_{0b} - \bar{W}_b, \quad n=13 \quad (10)$$

სადაც  $W_{05}$  არის მოთხოვნილი ბაზისური ენერგია,  $\bar{W}_b$  – არსებული ბაზისური სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია.

5. წყალსაცავიანი ბაზისური ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე ვერ გადააჭარბებს იმას, რისი შესაძლებლობაც არის საქართველოს მდინარეებზე:

$$P_2 \leq P_{02} \quad (11)$$

დღეგანდელი მონაცემებით  $P_{02} \approx (2 \div 2.5) \cdot 10^6$  კვტ.

6. ადგილობრივ ქვანახშირზე მომუშავე თეს-ების მიერ გამომუშავებული ენერგია ვერ გადააჭარბებს იმ ენერგიას, რომლის გამომუშავებაც შესაძლებელია საქართველოში მოპოვებული ქვანახშირით:

$$t_5 P_5 \leq W_{05} \quad (12)$$

ექსპერტთა შეფასებით, არცთუ შორეულ მომავალში, შესაძლებელი იქნება საქართველოში ქვანახშირის მოპოვება გაუზოლდეს 3 მლნ ტონას წელიწადში. ტყიბულის ქვანახშირის თბოუნარიანობის მიხედვით 1 კვტ.სთ ენერგიის გამომუშავებას სჭირდება  $\sim 0.6$  კგ. ეს ნიშნავს, რომ  $W_{05} \approx 5 \cdot 10^9$  კვტ სთ/წ.

7. ანალოგიური შეზღუდვა გვაქვს მურა ნახშირზე მომუშავე თეს-ებისთვის:

$$t_6 P_6 \leq W_{06} \quad (13)$$

ასევე, ექსპერტთა შეფასებით, ანალიტის მურა ნახშირის მოპოვებამ შეიძლება შეადგინოს 1მლნტ/წ. ამ მურა ნახშირის საშუალო თბოუნარიანობიდან გამომდინარე, 1 კვტ.სთ ელექტროენერგიის მისაღებად საჭიროა 0.95 კგ მურანახშირი. რაც იმას ნიშნავს, რომ  $W_{06} \approx 10^9$  კვტ სთ/წ.

8. ასევე ანალოგიური შეზღუდვა გვექნება მაზუთზე მომუშავე თეს-ებისათვის:

$$t_7 P_7 \leq W_{07} \quad (14)$$

საქართველოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში ახლო მომავალში შეიძლება გადამუშავდეს როგორც ადგილობრივი, ისე ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მაგისტრალებით გამავალი ნავთობის ნაწილი  $\sim 4 \div 5$  მლნტ წელიწადში. თანამედროვე ტექნოლოგიებით ამ რაოდენობის ნავთობის გადამუშავების შედეგად შეიძლება მივიღოთ დაახლოებით 1 მლნ.ტ მაზუთი წელიწადში. 1 კვტ.სთ ელექტროენერგიის მისაღებად საჭიროა  $\sim 0.25$  კგ მაზუთი. აქედან გამომდინარე,  $10^9$  კგ მაზუთის დაწვით მივიღებთ  $4 \cdot 10^9$  კვტ.სთ/წ, ანუ  $W_{07} \approx 4 \cdot 10^9$  კვტ სთ/წ.

9. ადგილობრივ აირზე მომუშავე თეს-ებში გამომუშავებული ელექტროენერგია ვერ გადააჭარბებს იმას, რის შესაძლებლობასაც მოგვცემს მოპოვებული აირი:

$$t_8 P_8 \leq W_{08} \quad (15)$$

10. ქარის ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე ვერ გადააჭარბებს საქართველოში არსებული ქარის რეალურად გამოყენებად სიმძლავრეს

$$P_9 \leq P_{09} \quad (16)$$

ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნით მიღებული შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ. წრფივი დაპროგრმების (6)-(16) ამოცანაგა დაწყვეტილ იქნა, ხოლო არსებული შედეგი სიმძლავრეების გათვალისწინებით შემდეგია:

$$P_5 = 0.33 \cdot 10^6 \text{ კვტ}, P_6 = 2.0 \cdot 10^6 \text{ კვტ}, P_{10} = 0.58 \cdot 10^6 \text{ კვტ}$$

იტერაციული ალგორითმებით მიღებულ იქნა შემდეგი ოპტიმალური ამონახსნი:

$$P_1^* = 0, \quad P_2^* = 0.24 \cdot 10^6, P_3^* = 0.67 \cdot 10^6, P_4^* = 0.53 \cdot 10^6,$$

$$P_5^* = 2.00 \cdot 10^6, \quad P_6^* = 2.28 \cdot 10^6, \quad P_7^* = 0, \quad P_8^* = 0, \quad P_9^* = 0,$$

$$P_{10}^* = 0.67 \cdot 10^6, \quad P_{11}^* = 0.50 \cdot 10^6, \quad P_{12}^* = 0, \quad P_{13}^* = 0, \quad F^* = 31416.93 \cdot 10^6.$$

### 3. დასკვნა

ამრიგად, მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას პრაქტიკულად შეუძლია ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ადგილობრივი ენერგორესურსებით დაქმაყოფილება წელიწადში 45 მილიარდი კილოვატსაათის დონეზე.

#### ლიტერატურა:

- ჯიბლაძე ნ., გაბელაია ა., ნარიმანაშვილი ნ. წრფივი დაპროგრამება. სტუ, თბ., 2004
- ჯიბლაძე ნ., კურგუმული ნ. წრფივი დაპროგრამების ამოცანების მიახლოებითი გადაწყვეტის ალგორითმის შესახებ. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტ. შრ.კრ., 15, თბ., 2011
- ჯიბლაძე ნ., კურგუმული ნ., ასკურავა ვ. ოპტიმიზაციის მეთოდების ლაბორატორიული სამუშაოები. სტუ, თბ., 2012
- Topchishvili A. Introduction into Static Linear Optimization. Tbilisi, 2000.

## DETERMINATION OF THE OPTIMAL STRUCTURE OF THE ELECTRO ENERGY SYSTEM OF GEORGIA

Gachechiladze Lela, Kurkumuli Nana, Barnovi Sophio, Nonikashvili Lia  
Georgian Technical University

#### Summary

The paper posed and solved a mathematical model of the electro energy system of Georgia and the optimal structure of the task. The unity of different types and capacity of electrical energy stations, which provides with energy the country, is meant in the optimal structure of the electro energy system, for which it is necessary that Georgian electrical system averagely elaborated annually for a person equally to European level (about 7-8 KWh annually), and generally 45 billion KWh annually.

## ОПРЕДЕЛЕНИЕ ОПТИМАЛЬНОЙ СТРУКТУРЫ ЭЛЕКТРОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ ГРУЗИИ

Гачечиладзе Л., Куркумули Н., Барнови С., Ноникашвили Л.  
Грузинский Технический Университет

#### Резюме

Поставлена и решена задача разработки математической модели электроэнергетической системы Грузии и определения её оптимальной структуры. Под оптимальной структурой электроэнергетической системы подразумевается совокупность электростанций различных типов и мощностей, которые обеспечивают потребность республики электроэнергий. Для этого необходимо, чтобы электроэнергетической системой Грузии была выработана годовая электроэнергия на душу населения, равная в среднем европейскому уровню (около 7000÷ 8000 кВт·ч в год), а общая годовая выработка - 45 млрд кВт·ч.